



მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 5 სექტემბერი, 2017 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ხუხუა - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
2. ნაირა ბეჰიევი - „კავკასიური მოზაიკა“
3. ნინო პოპიაშვილი - „კავკასიური მოზაიკა“
4. უჩა ვახანია - კოალიცია შინმოვლა საქართველო
5. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
6. ხატია ქარდავა - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
7. ლაშა მკურნალიძე - სკოლა-ოჯახი-საზოგადოება
8. სალომე ადამია - საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტები
9. ნანა გელაშვილი - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
10. არინა თავაქარაშვილი - მეგობრობის ხიდი „ქართლოსი“
11. გუნა ბიბილეიშვილი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
12. ნატო ბაჩიაშვილი - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
13. ოლგა კიკავა - ასოციაცია „მერკური“
14. ნანა თოდუა - ასოციაცია „მერკური“
15. სალომე კაპანაძე - აფხაზეთი - ჩემი სახლი
16. თეა კაჭარავა - საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“
17. ნინო ტლაშაძე - ადამიანის უფლებათა ცენტრი
18. ნიკოლოზ ლეგაშვილი - კონსტიტუციის 42-ე მუხლი

სკაიპით ერთვებოდნენ:

1. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
2. ალლა გამახარია - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
3. მერი გელაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
4. ქრისტინა კილანავა - ასოციაცია „იმედი“ დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისთვის
5. მერაბ გამსახურდია - გადავარჩინოთ მომავალი თაობა

განსახილველი საკითხები:

1. IV სამუშაო ჯგუფის 2017 წლის სამოქმედო სტრატეგიაში შესული ცვლილებების განხილვა;
2. საქართველოს ეროვნული პლატფორმის ყოველწლიურ კონფერენციაზე განსახილველი საკითხის განსაზღვრა/იდენტიფიცირება;
3. IV სამუშაო ჯგუფის ეფექტურად მუშაობის საჭიროებების განსაზღვრა;
4. და სხვა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად ჯგუფმა განიხილა IV სამუშაო ჯგუფის 2017-2018 წლის სამოქმედო სტრატეგიაში¹ შესატანი ცვლილებების წინადადებები. სულ შემოსული იყო შემდეგი 16 წინადადება:

1. „სამშვიდობო განათლების „პროგრამების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების ხელშეწყობა. სამშვიდობო განათლების პროგრამის ფარგლებში პედაგოგთა გადამზადების სისტემის ჩამოყალიბება (კონცეფციის, სამართლებრივი ბაზის, მეთოდოლოგიის მომზადება);
2. რეგიონალური თანამშრომლობის ხელშეწყობა ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში - ახალგაზრდების ჩართვა სამშვიდობო ინიციატივებსა და მშვიდობის მშენებლობაში (ტრენინგები, ორმხრივი დიალოგის, სამშვიდობო ბანაკები და ა.შ.);
3. საოკუპაციო ხაზების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების ეკონომიკური პროგრამების განვითარების ხელშეწყობა;
4. არაფორმალური და ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა-კერძოდ: სამშვიდობო განათლებასა და მოთხოვნად პროფესიებზე;
5. ი.გ.პ-თა და ომის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, პროფესიული განათლება და მათი უწყვეტი განათლების ხელშეწყობა;
6. ქალების და ახალგაზრდა გოგონების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და შესაძლებლობების გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აქტიური მონაწილეობისათვის;
7. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით კონფლიქტის შედეგად დამორიშორებულ საზოგადოებებში, ხალხთაშორის კონტაქტების, ნდობის აღდგენის და შერიგების ძალისხმევის ხელშეწყობა;

¹ ოქმს თან ერთვის IV სამუშაო ჯგუფის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია.

8. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 13 25-ის განხორციელების საქართველოს სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობის მიზნით, სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლების ჩართულობით;
9. იძულებით გადაადგილებული ქალების და ახალგაზრდა გოგონების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა მათი აქტიური ჩართულობისთვის მშვიდობის მშენებლობის პროცესში;
10. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების გააქტიურების ხელშეწყობა და მათი ჩართვა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესებში;
11. ახალგაზრდების (სკოლა დამთავრებულების) და დამამთავრებელ კლასების (11-12 კლასი) პროფორიენტაციის პროგრამების განხორციელება და შემდგომ მოთხოვნად პროფესიების დაუფლების ხელშეწყობა;
12. ახლად განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, ადგილზე ადაპტაციის მიზნით, ეკონომიკური პროგრამების მხარდაჭერა;
13. კონფლიქტით დაზარალებული რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობა;
14. ნდობის აღდგენის პროექტების, ხალხთაშორის კონტაქტების მხარდაჭერა და ადგილობრივი ინიციატივების წახალისება;
15. უსაფრთხოებისა და სტაბილურობის, ნდობის აღდგენისა და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო ცხოვრების უზრუნველსაყოფად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, მ.შ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმთან, ჟენევის ფორმატის მოლაპარაკების დელეგატებთან თანამშრომლობის და კოორდინაციის გაგრძელება;
16. სამეგრელო-ზემო სვანეთის ქალთა სამშვიდობო ქსელის შესაძლებლობების გაძლიერება მშვიდობის მშენებლობის პროცესში აქტიური ჩართვისათვის.

ჯგუფმა მსჯელობის შედეგად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

- მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *საოკუპაციო ხაზების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების ეკონომიკური პროგრამების განვითარების ადვოკატირება;*
- მე-5 და მე-6 პუნქტები გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *ი.გ.პ-თა და ომის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, ეკონომიკური გაძლიერების და მათი უწყვეტი განათლების, მათ შორის პროფესიული განათლების ხელშეწყობა.*
- რამდენადაც კონფლიქტების საკითხებზე ერთიანი სამოქმედო გეგმა არ არსებობს და ერთადერთი სამოქმედო დოკუმენტი გახლავთ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 13 25-ის საქართველოს სამოქმედო გეგმა, მნიშვნელოვანია, ჯგუფის სამოქმედო გეგმაში აისახოს ცვლილების მე-8 პუნქტი, თუმცა ამისთვის ცალკე

სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება ჯგუფმა საჭიროდ არ მიიჩნია. რამდენადაც პლატფორმის ბევრი წევრი ორგანიზაცია, როგორც თბილისში ბაზირებული, ასევე რეგიონული, მათ შორის ორგანიზაცია „ასოციაცია „იმედი““ და ცალკე პლატფორმის გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფი უკვე მუშაობს ამ საკითხზე, უმჯობესია გაუმჯობესდეს გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფთან კოორდინაცია და მოხდეს მათი რესურსების ეფექტურად გამოყენება. შესაბამისად მე-8 პუნქტიდან ამოღებულ იქნა ფრაზა: *ადგილობრივ დონეზე სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება.*

- მე-7 და მე-9 პუნქტები გაერთიანდეს;
- არაფორმალურ განათლებაზე მსჯელობისას ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება დაიხვეწოს მასთან დაკავშირებული პუნქტები სამოქმედო გეგმაში, თუმცა როგორც ორგანიზაციის „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ წარმომადგენელმა ქალბატონმა გუნა ბიბილეიშვილმა აღნიშნა, ნათელი პოზიცია მთავრობაში არ არსებობს. მისი თქმით, მართალია ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო და მიმდინარეობდა აქტიური დისკუსიები სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით, თუმცა საბოლოოდ არაფორმალური განათლება არ იქნა აღიარებული სახელმწიფოს მიერ. გარდა ამისა, არაფორმალური განათლების საკითხები გადაეცა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება ორივე სამინისტროს (განათლებისა და მეცნიერების და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროები) მიმართოს შეხვედრის თხოვნის წერილით, სადაც ასევე დეტალურად იქნება გაწერილი განსახილველი საკითხები. წერილის მომზადების ინიციატივა გამოთქვა ქალბატონმა გუნა ბიბილეიშვილმა. ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, შეხვედრის შედეგებზე დაყრდნობით არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები მოგვიანებით დაემატოს სამოქმედო გეგმას.
- მე-12 ცვლილება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *ახლად განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, ადგილზე ადაპტაციის მიზნით, ეკონომიკური პროგრამების მხარდაჭერა ადვოკატირების გზით;*
- მე-13 და მე-14 ცვლილება უკვე ასახულია გეგმის ნდობის აღდგენის ნაწილში, ამდენად ცალკე არ გამოიყოს;
- ორგანიზაციის: „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ”თანხმობა““-ის წარმომადგენლის იულია ხარაშვილის ინიციატივით, სამოქმედო გეგმას დაემატოს დევნილთა შემწეობის რეფორმირების საკითხისა და დაბერებისა და ხანდაზმულთა ღირსეულად ცხოვრების საკითხები; ჯგუფმა მას სთხოვა ჯგუფის სამუშაო Google ჯგუფის მეშვეობით გამოაგზავნოს ორივე დამატების ზუსტი დეფინიცია;
- ორგანიზაციის: „ კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ წარმომადგენელმა ბატონმა ნიკოლოზ ლეგაშვილმა ჯგუფს შესთავაზა ასევე შემდეგი დამატება: *დევნილი მოსახლეობის დასახმარებლად და საოკუპაციო ხაზების მიმდებარე ტერიტორიიდან მოსახლეობის გატაცების ფაქტებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება.*

ჯგუფის კოორდინატორმა, ორგანიზაციის; „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო“-ს წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნინო ხუბუამ თავის მხრივ განაცხადა, რომ იგი ასახავს ცვლილებებს სამოქმედო გეგმაში და საბჭოს შეხვედრაზე დასამტკიცებლად წარუდგენს საკოორდინაციო საბჭოს.

შემდეგ საკითხად ჯგუფმა განიხილა საქართველოს ეროვნული პლატფორმის ყოველწლიურ კონფერენციაზე განსახილველი საკითხები. ორგანიზაციის: „ახალგაზრდული ალტერნატივის“ წარმომადგენელმა, ბატონმა ნუკრი ყველაშვილმა წარადგინა წინადადება კონფერენციაზე ერთ-ერთ განსახილველ საკითხად წარდგენილი იქნას საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-16 თავის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება. აღნიშნული თავი მოიცავს განათლებას, ტრენინგებსა და ახალგაზრდობას. როგორც წინადადების ავტორმა აღნიშნა არ შესრულებულა მთელი რიგი ვალდებულებები, ისეთები როგორცაა:

- ✚ ტრენერთა პროგრამის შემუშავება;
- ✚ ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება;
- ✚ საქართველოს კანონი „ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერის შესახებ კანონპროექტი დახვეწა და პარლამენტში წარდგენა;
- ✚ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ახალი წესისა და პირობების დამტკიცება;
- ✚ არაფორმალური განათლების აღიარებაში ცნობიერების ამაღლების კამპანიის მომზადება და დანერგვა.

კონფერენციაზე განსახილველ კიდევ ერთ საკითხად, ორგანიზაციის: „კოალიცია შინმოვლა საქართველო“-ს წარმომადგენელმა, ბატონმა უჩა ვახანიამ ასევე წარადგინა დაბერების საკითხი.

ჯგუფის კოორდინატორმა, ჯგუფის სხვა წევრებსა და ორივე წინადადების ავტორს სთხოვა, საკოორდინაციო საბჭოს 3 აგვისტოს სხდომის ოქმში² ასახული კრიტერიუმების შესაბამისად, წარადგინონ კონფერენციაზე განსახილველი საკითხის დასაბუთება არაუგვიანეს ა.წ 11 სექტემბრისა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა

² საკოორდინაციო საბჭოს 3 აგვისტოს სხდომის ოქმი
http://eap-csf.ge/images/doc/politics/minutes%2003_08_2017oqmebi.pdf